საექსპერტო შეფასება

***ანგარიშზე** „ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფ. ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს, ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორიის (ს/კ 01.10.18.007.008) საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევა“.*

შპს „ფროპერთ დეველოპმენტ ჰოლდინგი“-ს ხელმძღვანელობის თხოვნით ჩვენს მიერ 2021 წლის მარტში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფ. ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს, ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე (ს/კ 01.10.18.007.008) ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს იქნა ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფ. ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს, ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე (ს/კ 01.10.18.007.008) ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებული არის შპს „გეოინჟკომპლექსი“-ს გეოლოგიური ჯგუფის მიერ 2020 წლის სექტემბერში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი, ინჟინერ გეოლოგი მ. მამუკაშვილი. მათ გეოტექნიკურ ლაბორატორიაშია შესრულებული გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების გამოკვლევა.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე---------- 8 გვ.
2. ტექნიკური დავალება---------- 1 გვ.
3. ცხრილი გრუნტების თვისებებზე---------- 1 გვ.
4. მოედნის ტოპოგეგმა---------- 1 ფურც.
5. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები---------- 1 ფურც.
6. მოედნის გეოლოგიური ჭრილი---------- 4 ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს 4 სართულიანი საცხოვრებელი სახლი, ორი მიწისქვეშა სართულით. კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში, შევსება იქნება აგურით ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება საძირკველს, მისი კონსტრუქცია და ჩაღრმავება გადაწყდება მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შემდეგ.

მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად, საკვლევ მოედანზე გაყვანილი იქნა 8 შურფი. თითოეული 4.0 მ სიგრძის. შურფებიდან აღებული იქნა ნიმუშები გრუნტის თვისებების დასახასიათებლად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა 1 – ნიადაგის ფენა;

2. ფენა 2 – ძირითადი ქანები, არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობა, ძლიერ გამოფიტული;
3. ფენა 3 – ძირითადი ქანები, არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობა, გამოფიტული.

ანგარიშში მოცემულია საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობები. მოედნის სულ ზედა ფენა ნიადაგია, იგი შენობის ფუძედ არ გამოდგება და ამიტომ მისი თვისებები არ არის გამოკვლეული. შემდეგი ფენა ძირითადი ქანებია – არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობა. მათი ზედა ნაწილი 1-1.2 მ სიმძლავრით ძლიერ გამოფიტულია, შემდეგ გამოფიტვის ინტენსივობა კლებულობს. ძირითადი ქანების წოლის ელემენტებია: მიმართების აზიმუტი 70-80^0, ხოლო ქანების დახრის კუთხეა 22-26^0. როგორც ავტორი აღნიშნავს ტერიტორია საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით მდგრადია და რაიმე საშიში გეოლოგიური პროცესების (მეწყერი, ზვავი, სუფოზია, კარსტი და სხვა) განვითარება არ არის მოსალოდნელი.

ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი გამოკვლეულ სიღრმემდე არ დაფიქსირებულა.

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფ. ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს, ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე (ს/კ 01.10.18.007.008) ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები, აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. დასასრულს ავღნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას და შეიძლება დაედოს საფუძვლად მშენებლობის პროექტს საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს დამსახურებული მშენებელი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი /გ. ჭოხონელიძე/

გვარი, სახელი, მამის სახელი	ჭობონელიძე გუგა ილიას ძე
ბინის ტელეფონის ნომერი	ქ. თბილისი, კეკელიძის №10, ბინა 25 ტელ.: 2-22-00-44
დაბადების თარიღი	1928 წლის 16 თებერვალი
განათლება	1945 წელს დავამთავრე ქ. თბილისის 12 ვაჟთა სკოლა, 1950 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი საშენებლო ფაკულტეტი, მშენებელ-ინჟინერის სპეციალობით, 1972 წელს დავამთავრე ოცივე ინსტიტუტი, ინჟინერ-გეოლოგის სპეციალობით.
მინიჭებული კვალიფიკაცია	1974 წელს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (დიპლომი) 1975 წელს პროფესორი საინჟინრო გეოლოგიაში (დიპლომი) 2000 წელს საქართველოს საინჟინრო აკადემიის - აკადემიკოსი
საქმიანობა და სამუშაო გამოცდილება	1950-1958 წწ. ჰიდროგეოლოგიისა და მელიორაციის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი; 1958-1974წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში; 1983 წლიდან დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების მიმართულ ხელმძღვანელი
გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და პუბლიკაციები	გამოქვეყნებულია 98 სამეცნიერო შრომა, მათ შორის მონოგრაფია „საქართველოს ლიოსისებური გრუნტები“ (1976წ) და „ამიერკავკასიის ლიოსისებური გრუნტები“ (1988 წ.) შესწავლილი და ანგარიშები დაწერილი მაქვს ინგურის ჰიდროელექტროსადგურის, ქ. თბილისის, ქ. რუსთავი სოხუმისა და ქ. ფოთის საინჟინრო „გეოლოგიურ პირობებ გაცემული მაქვს 100-ზე მეტი საექსპერტო დასკვნა მშენებლობა დაკავშირებული ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებზე. მაქვს გამოგონებები გრუნტების გამაგრებაზე. ვარ ავტორი სახელმძღვანელოებისა: „გრუნტების მექანიკა და ფუძე-საძირკვლები“ 2005 წ. და „ საინჟინრო ნაგებობები“ (2012 წ.). ვარ ავტორი სამშენებლო ნორმების: 2.02.01 – 2003 წ. „შენობა-ნაგებობათა ფუძე-საძირკვლები“.
უცხო ენების ცოდნა	ქართული - მშობლიური; რუსული - კარგად;

დიპლომი

Я № 168169

ეს დიპლომი მიეცა გუგა ილიას ძე
ჭოხონელიძეს
მასზედ, რომ იგი 1967 წელს შევიდა ვ.ი. ლენინის
სახ. შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1972 წელს დაამთავრა
ამავე ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით ჰიდროგეოლოგია
და საინჟინრო გეოლოგია

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1972 წ.
30 ივნისის დადგენილებით
გ.ი. ჭოხონელიძეს მიენიჭა
სამთო ინჟინერ-
ჰიდროგეოლოგის კვალიფიკაცია.
სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე
მდივანი

ბ.ა.

ქალაქი თბილისი 1973 წ. „2" აპრილი
სარეგისტრაციო № ГЕ-205

Грузинский пл.

ДИПЛОМ
ДОКТОРА НАУК

МТН № 007499

Москва 22 декабря 1951 г.

Решением
Высшей Аттестационной Комиссии
от 28 ноября 1951 г. (протокол N 18)
Соколовскому Юрию Ивану
ПРИСУЖДЕНА УЧЕНАЯ СТЕПЕНЬ ДОКТОРА
ТЕХНИЧЕСКИХ НАУК

Председатель Высшей
Аттестационной Комиссии

Ученый Секретарь Высшей
Аттестационной Комиссии

საქართველოს რესპუბლიკა

მოქალაქის პირადობის მოწმობა



პირადი № 01026010539

სახელი გუგა

გვარი ჭოხონელიძე

დაბადების თარიღი 16.02.1928 წ.

დაბადების ადგილი თბილისი

ეროვნება ———

№ დ 0266413

პირადი ხელმოწერა

მისამართი ———

მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება თბილისის საბურთალოს რაიონის შ.ს. მეორე [illegible] განყოფილება

გაცემის თარიღი 29.09.2000 წ.

მოქმედების ვადა ———

ბ.ა. თანამდებობის პირის ხელმოწერა

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, შპს „ფროფერთი დეველოპმენტ ჰოლდინგი“-ს საკუთრებაში არსებულ ნაკვეთზე (ნაკვეთი 1/12) დაპროექტებული ერთბინიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის პროექტის ფუძეებზე, საძირკვლებსა და სხვა ძირითად კონსტრუქციებზე

ქ. თბილისი 2021 წლის 12 მარტი

ექსპერტიზაზე, განსახილველად წარმოდგენილია ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელი ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს, შპს „ფროფერთი დეველოპმენტ ჰოლდინგი“-ს (ID ნომერი: 205244190) საკუთრებაში არსებულ ნაკვეთზე (მიწის საკადასტრო კოდი №01.10.18.007.008) დაპროექტებული ერთბინიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის პროექტის შემდეგი ნაწილები (მოწოდებული მასალების სისწორესა და აუთენტურობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე):

– არქიტექტურული ნაწილი დამუშავებულია შპს „NOA Studio“-ს საპროექტო ჯგუფის მიერ. არქიტექტორი ქ. ყრუაშვილი-რიბიერო.

– კონსტრუქციული ნაწილი მუშა პროექტის სახით. პროექტის კონსტრუქტორთა ჯგუფი დ. ქევანიშვილი და სხვები.

– „ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელი ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს (ს/კ №01.10.18.007.008) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის პროექტისთვის ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები“ (შემსრულებელი შპს „გეოინჟკომპლექსი“-ს ინჟინერ-გეოლოგი მ. მამუკაშვილი; მთავარი გეოლოგი ა. პასიკაშვილი)

საექსპერტო დასკვნა შესრულებულია შ.პ.ს. „ბალავერი“-ს საპროექტო ჯგუფის მიერ. ექსპერტი ინჟინერ-კონსტრუქტორი რ. აფხაძე.

საინჟინრო-გეოლოგიური ანგარიშის მიხედვით უბნის გეოლოგიურ ამგებ გრუნტებში მონაწილეობას ღებულობს სამი ფენა: ნიადაგის ფენა (ფენა-1), წარმოდგენილი ღორღის და ხვინჭის მინარევებით, რომელიც გავრცელებულია რელიეფის ზედაპირიდან 0,2÷0,4 მ. სიღრმემდე; ძირითადი ქანი – არგილითებისა და ქვიშაქვების დაახლოებით თანაბარი რაოდენობა (ფენა 2), გრუნტის ეს ფენა ძლიერ გამოფიტულია, დანაპრალიანებულ-დაშლილია და მისი სიმძლავრე მერყეობს 1,2÷2,1 მ-ის ფარგლებში და ის გამოყოფილია საინჟინრო გეოლოგიური ელემენტის სახით (I-სგე) და ძირითადი ქანი – არგილიტებისა და ქვიშაქვების მორიგეობა (ფენა 3), გამოფიტული. ფენის ხილული სიმძლავრე 0,3÷0,6 მ-ია და ფენა გამოყოფილია საინჟინრო გეოლოგიური ელემენტის სახით

(II-სგე). გრუნტის წყალი გამოკვლეულ სიღრმემდე არ დაფიქსირებულა. გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები დეტალურად იხილეთ საინჟინრო-გეოლოგიურ ნაწილში.

სამშენებლო ნორმებისა და წესების – „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.01-09)-ს სეისმური საშიშროების რუქის დანართის მიხედვით მშენებლობისთვის გამოყოვილი უბანი მიეკუთვნება 8-ბალიანი სეისმური ინტენსივობის ზონას, პიკური აჩქარებით A=0,14.

დაპროექტების ნორმების – “სამშენებლო კლიმატოლოგია”-ს მიხედვით კი: (შესაბამისად ცხრილები 17 და 18):

– თოვლის საფარის წონა შეადგენს – 0,50 კპა-ს (50 კგძ/მ^2).

– ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა კი – 0,85 კპა-ს (85 კგძ/მ^2), 15-წელიწადში ერთხელ.

საექსპერტოდ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით საპროექტო დოკუმენტაციაში დამუშავებულია ოთხი ბლოკი („A“; „B“; „C“ და „D“ ბლოკები), რომლებიც ერთმანეთისგან გამოყოფილნი არიან ანტისეისმური ნაკერებით; საცურაო აუზი, გარე კიბეები და საყრდენი კედელი.

„A“ ბლოკის შენობა („1/6“ და „E/G“ ღერძებში) პროექტის მიხედვით ერთსართულიანია, გეგმაში სწორკუთხა, მაგრამ რთული გეომეტრული ფორმისაა, მაქსიმალური გაბარიტული ზომებით 20,00X7,00 მ. შენობის მაქსიმალური სიმაღლე რელიეფის ზედაპირიდან 3,20 მ-ია. „B“ ბლოკის შენობა („1/6“ და „D/E“ ღერძებში) პროექტის მიხედვით ორსართულიანია, გეგმაში მარტივი სწორკუთხა ფორმისაა, მაქსიმალური გაბარიტული ზომებით 20,00X11,75 მ. შენობის მაქსიმალური სიმაღლე რელიეფის ზედაპირიდან 7,04 მ-ია. სართულებს შორის კომუნიკაცია ხორციელდება ერთი ერთმარშიანი მონოლითური რკინაბეტონის კიბით. კიბის მარშის ფილის სისქე 200 მმ-ია. „C“ ბლოკის შენობა („5/6“ და „C/D“ ღერძებში) პროექტის მიხედვით ერთსართულიანია, გეგმაში მარტივი სწორკუთხა ფორმისაა, მაქსიმალური გაბარიტული ზომებით 11,00X3,12 მ. შენობის მაქსიმალური სიმაღლე რელიეფის ზედაპირიდან 3,80 მ-ია. „D“ ბლოკის შენობა („1/6“ და „B/C“ ღერძებში) პროექტის მიხედვით ერთსართულიანია, გეგმაში სწორკუთხა, მაგრამ რთული გეომეტრული ფორმისაა, მაქსიმალური გაბარიტული ზომებით 20,00X28,242 მ. შენობის მაქსიმალური სიმაღლე რელიეფის ზედაპირიდან 3,63 მ-ია. ყველა ბლოკის სახურავი შესრულებულია ბრტყელი გადახურვით. პირობითი ნიშნული 0,000 მიღებულია „D“ ბლოკის პირველი სართულის იატაკის ზედაპირი, რომელიც შეესაბამება აბსოლუტურ ნიშნულს 708,690 ტოპოგეგმის მიხედვით.

შენობების საანგარიშო კონსტრუქციული სქემა ჩარჩო-კავშირებიანია და მისი მზიდი კონსტრუქციების, როგორც ერთიანი სივრცული სისტემის გაანგარიშება მუდმივ და დროებით ვერტიკალურ დატვირთვებზე და აგრეთვე ჰორიზონტალურ 8 ბალიან ზემოქმედებაზე შესრულებულია საანგარიშო კომპლექს ЛИРА-САПР 2018-ის (ლიცენზია №932989348) პროგრამული კომპლექსის მეშვეობით. ანგარიშით მიღებული ძალვების მიხედვით შეირჩა ფუძე საძირკვლებისა და სხვა ძირითადი კონსტრუქციების კვეთები და არმირება. კონსტრუქციებში გამოყენებულია B25 კლასის ბეტონი, ხოლო არმირება განხორციელებულია A500C არმატურის ღეროებით. საძირკვლების ტიპად შერჩეულია მონოლითური რკინაბეტონის საძირკვლის ფილა სისქით h=300 მმ და h=250 მმ., შენობის კარკასი შესრულებულია მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციებით: სვეტების („D“ ბლოკზე) განივი კვეთი Ø350 მმ-ია; ხოლო რიგელებისა (გადახურვის ფილის წიბოები) კი: 200X690(h) მმ; 300X1100(h) მმ. და 300X1000(h) მმ. შენობის სართულშუა და სასხვენო გადახურვის ფილების სისქე 200 მმ და 300 მმ-ია, ხოლო სარდაფის კედლები სისქით 200 მმ; 250 მმ და 300 მმ.

ექსპერტიზაზე წარმოდგენილი მასალები შესწავლილ იქნა პროექტის კონსტრუქციულ ნაწილთან ერთობლიობაში, კონსტრუქციული ნაწილი კი დატალურად. პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ანალიზური შესწავლის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ პროექტი დამუშავებულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნათა გათვალისწინებით, მაგრამ მიუხედავად ამისა ექსპერტს მის მიმართ გააჩნია შემდეგი სახის შენიშვნები:

– ფურცელი კ-1. განმარტებით ბარათში ქარის ნორმატიულ დატვირთვად, ნაცვლად 85 კგძ/მ^2-ისა, დაფიქსირებულია 48 კგძ/მ^2.

– ფურცლებზე კ-12÷კ-16, შესაბამისად დამუშავებულია „A“ ბლოკის მონოლითური კედლები მკ-1÷მკ-5, რომლებიც, მკ-4 მონოლითური კედლის გარდა ნიშანდებულია კ-3 ფურცელზე („A-ბლოკის საყალიბო გეგმა“), საჭიროა ამავე ფურცელზე მკ-4 მონოლითური კედლების დაფიქსირება.

– ფურცელზე კ-26, დამუშავებულია „B“ ბლოკის მონოლითური კედელი მკ-6, აქვე დამუშავებული „ჭრილი 1-1“ არ შეესაბამება რეალობას, კედელი მთავრდება 3,600 ნიშნულზე, ხოლო ჭრილის მიხედვით კედლის ვერტიკალური არმატურა ამოშვერილია 3,600 ნიშნულიდან 600 მმ-ით. ანალოგიური შენიშვნა გაგვაჩნია კ-27 (მკ-7); კ-28 (მკ-8); კ-29 (მკ-9); კ-30 (მკ-10) და კ-31 (მკ-11)

– ფურცელზე კ-33, დამუშავებულია „B“ ბლოკის მონოლითური კედლები მკ-13 და მკ-13/1, ამ უკანასკნელზე მე-2 და მე-4 პოზიციები არ არის ნიშანდებული.

– ფურცელზე კ-36, დამუშავებულია „B“ ბლოკის მონოლითური კედელი მკ-16, აქვე დამუშავებულ დეტალების სპეციფიკაციაში მე-2 ნომრით ნიშანდებულია მე-3 ღერო. ანალოგიური შენიშვნა გვაქვს კ-37 ფურცელზე დამუშავებულ კ-17 მონოლითური კედლის მიმართაც.

– ფურცელზე კ-45, დამუშავებულია „C“ ბლოკის მონოლითური კედელი მკ-2, აქვე დამუშავებულ დეტალების სპეციფიკაციაში მე-3 ნომრით ნიშანდებულია მე-2 ღერო.

– ფურცელზე კ-62, დამუშავებულია „D“ ბლოკის მონოლითური კედელი მკ-12, აქვე დამუშავებულ დეტალების სპეციფიკაციაში მე-3 ნომრით ნიშანდებულია მე-2 ღერო. ანალოგიური შენიშვნა გვაქვს კ-66 ფურცელზე დამუშავებულ კ-16 მონოლითური კედლის მიმართაც.

– ფურცელზე კ-82, დამუშავებულია მონოლითური რკინაბეტონის საყრდენი კედელი, აქვე დამუშავებულ „ჭრილი 1-1“-ზე კედლის გაბარიტული ზომების რიცხვითი მნიშვნელობები არ იკითხება.

ექსპერტის მიერ დაფიქსირებული შენიშვნების გათვალისწინების ან დასაბუთებულად უარყოფის შემთხვევაში ექსპერტს შესაძლებლად მიაჩნია, რომ პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს მიეცეს დადებითი შეფასება მშენებლობის დაწყების ნებართვის მისაღებად.

შპს „ბალაგერი“-ს დირექტორი მ. გეგია

ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი რ. აფხაძე

საკ. ტელ: 5.77 757 028; 5.98 922 254

საბოლოო დასკვნა

გავეცანი კონსტრუქტორის პასუხებს ექსპერტის შენიშვნებზე. პასუხები დამაკმაყოფილებელია. ექსპერტიზაზე წარმოდგენილი, ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელი ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს, შპს „ფროფერთი დეველოპმენტ ჰოლდინგი“-ს საკუთრებაში არსებულ ნაკვეთზე

(მიწის საკადასტრო კოდი №01.10.18.007.008) დაპროექტებული ერთბინიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის პროექტის ფუძეებს, საძირკვლებსა და სხვა ძირითად კონსტრუქციებს ეძლევა დადებითი შეფასება მშენებლობის დაწყების ნებართვის მისაღებად.

შპს „ბალავერი“-ს დირექტორი მ. გეგია

ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი რ. აფხაძე

18.03.2021 წ.